საგრანტო ხელშკრულება

საქართველოს მთავრობასა

და

შპს კრაუნ ეიჯენტს იაპონია (Crown Agents Japan Limited) შორის

რომელიც ეხება

იაპონიის საგრანტო დახმარებას

ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამისთვის

2020

თარიღი: 10 სექტემბერი, 2020

P1

შინაარსი

	პუნქტი	გვერდი
1.	განსაზღვრებები	
2.	დანიშვნა	
3.	ძალაში შესვლა	
4.	შესყიდვების პროცედურა	
5.	ტრანსპორტირება და დაზღვევა	
6.	ხარისხის კონტროლი და ინსპექცია	
7.	კრაუნ ეიჯენტსის ვალდებულებები	
8.	ხარჯების/ზარალის ანაზღაურება	
9.	აგენტის ჰონორარი	
10.	პირობები, რაც წინ უძღვის შესრულებას	
11.	გადახდა და ანგარიშგების პროცედურები	
12.	მიმღების ვალდებულებები	
13.	სუვერენული იმუნიტეტის გამოყენება	
14.	ფორს მაჟორი	
15.	ხელშეკრულების მოქმედება	
16.	შეწყვეტა	
17.	სადავო საკითხების რეგულირება	
18.	მარეგულირებელი კანონმდებლობა	
19.	სხვადასხვა	

დანართები

A. შესყიდვები და ფინანსური აღრიცხვიანობის პროცედურები
B. აგენტის ჰონორარი
C. გადახდის ყოვლისმომცველი ავტორიზება BDA
D. შეტყობინება გადახდის მოთხოვნაზე
E. მოთხოვნა გადახდაზე
F. დეტალური ბიუჯეტი
G. ნებადართული შესყიდვების სერტიფიკატი
H. ანტი-მოსყიდვა და კორუფცია

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2020 წლის 10 სექტემბერს.

ერთის მხრივ საქართველოს მთავრობას (შემდგომში მოხსენიებული როგორც მიმღები"), რომელსაც წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

და მეორეს მხრივ **შპს კრაუნ ეიჯენტს იაპონიას შორის**, რომელიც რეგისტრირებულია ტოკიოში (1st Floor, Sabo Kaikan Honkan, 2-7-5 Hirakawacho, Chiyoda-ku, Tokyo 102-0093, Japan) (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კრაუნ ეიჯენტსი".

მიმღები მხარე და კრაუნ ეიჯნეტსი შემდგომში მოხსენიებული იქნებიან როგორც „მხარეები" ხოლო ცალ-ცალკე „მხარედ".

იმის გათვალისწინებით, რომ იაპონიის მთავრობამ (შემდგომში "იაპონიის მთავრობა") 2020 წლის 22 ივლისს ხელმოწერილი გაცვლითი ნოტებისა (შემდგომში EON) და „პროცედურულ დეტალებზე შეთანხმების ოქმის" ფარგლებში, მიმღებს გრანტის სახით გამოუყო დახმარება - „იაპონური დახმარება ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამისთვის (შემდეგომში „პროგრამა").

და

იმის გათვალისწინებით, რომ მიმღებ მხარეს განზრახული აქვს, გამოიყენოს იაპონური საგრანტო დახმარების სახსრები პროგრამისთვის, რათა (i.) გადაიხადოს კრაუნ ეიჯენტსის (რომელიც მოქმედებს მიმღებისთვის და მიმღების სახელით) მიერ შესყიდული პროდუქციის და მომსახურების საფასური, და (ii) კრაუნ ეიჯენტსის მომსახურების ჰონორარი;

და

იმის გათვალისწინებით, რომ კრაუნ ეიჯენტსმა განაცხადა და განუმარტა მიმღებ მხარეს, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება პროდუქციის და მომსახურების შესყიდვებში.

აქედან გამომდინარე, შეთანხმება შედგა შემდეგზე:

1. **განსაზღვრებები**

ხელშეკრულებაში მოყვანილ ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს აქვთ შემდეგი შესაბამისი მნიშვნელობები:

(1) „ავანსი" ნიშნავს თანხებს, რომელიც მიღებულია მიმღების ანგარიშიდან და აღრიცხულია შესყიდვის ანგარიშზე, რათა დაიფაროს (i) საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვის ხარჯები და (ii) აგენტის ჰონორარი, რომელიც აღწერილია პუნქტ 9-ში.

(2) „აგენტის ჰონორარი“ ნიშნავს ანაზღურებას, რაც გულისხმობს, რომ მიმღები უხდის კრაუნ ეიჯენტსს აგენტის მომსახურების საფასურს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.

(3) „აგენტის მომსახურება“ ნიშნავს მომსახურებას, რაც უნდა გასწიოს კრაუნ ეიჯენტსმა და დეტალურად აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ A-ში.

(4) „ბანკი“ წარმოადგენს ბანკს, რომელსაც ადგენს კრაუნ ეიჯენტსი, და რომელიც განახორციელებს მომწოდებლებისთვის გადახდებს საქონელზე და/ან მომსახურებაზე ავანსის თანხიდან. აგენტის ჰონორარი გადაირიცხება ბანკიდან ავანსის სახსრებიდან.

(5) „გადახდის საყოველთაო ავტორიზება“ (BDA) ნიშნავს ფორმას, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც დანართი C. ამ ფორმის ხელმოწერით მიმღები ნიშნავს კრაუნ ეიჯენტსს როგორც მის წარმომადგენელს, რომელიც მოქმედებს მისი სახელით, რაც ეხება გრანტით გათვალისწინებული გადარიცხვების განხორციელებას, პლუს იმ პროცენტისას, რაც შეიძლება დაირიცხოს შესყიდვის ანგარიშზე.

(6) „ნებადართული შესყიდვების სერტიფიკატი“ ან „CEP“ ნიშნავს ფორმას, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც დანართი G. ამ ფორმას ადგენს კრაუნ ეიჯენტსი, სანამ დაიწყება კონტრაქტით გათვალისწინებული პროდუქციისა და/ან მომსახურების შესყიდვები მომწოდებლებისგან და წინ უსწრებს კრაუნ ეიჯენტსისთვის აგენტის ჰონორარის ნაწილის გადახდას. ეს ფორმა დაასასტურებს გრანტის ფარგლებში შეთავაზებული პროდუქციისა და/ან მომსახურების შესყიდვის ნების დართვას და წარედგინება საქართველოს მთავრობას. ნებადართული შესყიდვის სერტიფიკატი (CEP) წარედგინება იაპონიის მთავრობას. მისი ასლი კი მიმღებს.

(7) „ნებადართული შესყიდვის სერტიფიკატი დარჩენილ თანხაზე“ ნიშნავს ფორმას, რომელიც თან ერთვის ნოტების ურთიერთგაცვლას, როგორც დანართი IV. მიმღები მხარე მიაწვდის ამ ფორმას საჭირო დოკუმენტებთან ერთად, რაც მოიცავს ინვოისების, კომერციული ინვოისების, სატრანსპორტო ზედნადებების (Billls of Lading) და საჰაერო ტრანსპორტირების ზედნადებების მიწოდებას კრაუნ ეიჯენტსისთვის, რათა დაავალოს მას გადაურიცხოს გრანტიდან დარჩენილი თანხა პლუს ნებისმიერი დარიცხული პროცენტი იმ საბანკო ანგარიშზე, რომელსაც მიუთითებს მიმღები. ეს ფორმა შედგენილი იქნება მიმღების მიერ, როდესაც დასრულდება საბანკო ანგარიშიდან ყველა გადახდა და როდესაც თანხის დარჩენილი ოდენობა და ავანსიდან დარჩენილი ოდენობა საბანკო ანგარიშზე გრანტის და მასზე დარიცხული პროცენტის 3% -ით ნაკლები იქნება.

(8) „დეტალური ხარჯთაღრიცხვა“ ნიშნავს ფორმას, რომელიც თანდართულია წინამდებარე დოკუმენტზე, როგორც დანართი F. ამ ფორმას ადგენს კრაუნ ეიჯენტსი, სადაც აღწერილია მიმღების გადაწყვეტილებით გრანტის სახსრების განაწილება და მიაწვდის ამ ფორმას იაპონურ ბანკს, როგორც დანართს გრანტის გამოყენების მოთხოვნაზე.

(9) „გრანტის გამოყენების მოთხოვნა“ (Disbursement Request) წარმოადგენს ფორმას, რომელიც თანდართულია წინამდებარე დოკუმენტზე, როგორც დანართი E. კრაუნ ეიჯენტსი გამოიყენებს ამ ფორმას, რათა მოსთხოვოს იაპონურ ბანკს გადარიცხოს

გრანტის სახსრები, რათა დაიფაროს საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვის და ასევე აგენტის მომსახურების ხარჯები.

(10) „საბოლოო მომხმარებელი“ არის ორგანიზაცია(ები) მიმღებ ქვეყანაში, რომელიც აპირებს გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით შესყიდული საქონელი და/ან მომსახურება.

(11) „გრანტი“ ნიშნავს პროგრამით გათვალისწინებულ სახსრებს.

(12) „იაპონური ბანკი“ ნიშნავს ბანკს იაპონიაში, სადაც მიმღები ხსნის ანგარიშს იაპონურ იენაში, რათა მიიღოს გრანტი იაპონიის მთავრობისგან. მიმღები და ბანკი იაპონიაში დადებენ შეთანხმებას გრანტის და მასზე დარიცხული პროცენტის გადარიცხვაზე, სადაც მიმღები დანიშნავს კრაუნ ეიჯენტსს თავის წარმომადგენლად, რომელიც მოქმდედებს მიმღების სახელით, რაც ეხება გრანტის სახსრების ყველა გადარიცხვას შესყიდვების ანგარიშზე ნოტების ურთიერთგაცვლის დოკუმენტის შესაბამისად.

(13) „შეტყობინება გადახდის მოთხოვნაზე“ არის ფორმა თანდართული წინამდებარე დოკუმენტზე, როგორც დანართი D. კრაუნ ეიჯენტსი გამოიყენებს ამ ფორმას რათა შეატყობინოს მიმღებს რომ გადახდის მოთხოვნა/ები გაეგზავნა იაპონურ ბანკს.

(14) „საქონელი“ და „მომსახურება“ ნიშნავს პროდუქციას და/ან მომსახურებას, რაც აუცილებელია პროგრამის განხორციელებისთვის და ჩამოთვლილია ნოტების ურთიერთგაცვლაში.

(15) „შესყიდვების ანგარიში“ წარმოადგენს საბანკო ანგარიშს/ებს ბანკში, რომლის მთავარი მიზანია მიიღოს თანხა მიმღების ანგარიშიდან, რომელიც აუცილებელია როგორც საქონლის და/ან მომსახურების შესაძენად ისე აგენტის მომსახურების ჰონორარის გადასახდელად. კრაუნ ეიჯენტსი გადაუხდის თანხებს მომწოდებლებს და ასევე გადაიხდის აგენტის ჰონორარს შესყიდვების ანგარიშზე დეპონირებული ავანსიდან.

(16) „მიმღების ანგარიში“ ნიშნავს მიმღების იენის ჩვეულებრივ სადეპოზიტო ანგარიშს იაპონურ ბანკში, რომლის დანიშნულებაა მიიღოს გრანტი იაპონიის მთავრობიდან.

2. **დანიშვნა**

მიმღები ნიშნავს და უფლებას აძლევს კრაუნ ეიჯენტსს, რომ იმოქმედოს როგორც აგენტმა მისი სახელით და აქვე კრაუნ ეიჯენტსი ეთანხმება იმოქმედოს როგორც აგენტმა მიმღების სახელით ნოტების ურთიერთგაცვლისა და ამ შეთანხმების შესაბამისად, რათა შეისყიდოს მიმღების მიერ მოთხოვნილი პროდუქცია და/ან მომსახურება. კრაუნ ეიჯენტსი ასევე გაუწევს კომიტეტს (კომიტეტი განსაზღვრულია ნოტების ურთიერთგაცვლის დანართ V-ში), ისეთ მომსახურებას რომელიც მითითებულია ნოტების ურთიერთგაცვლის დანართ II-ში. მიმღებ მხარესთან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, კრაუნ ეიჯენტსმა შეიძლება ამ ხელშეკრულების ფარგლებში მოახდინოს რომელიმე მისი ვალდებულების დელეგირება აფელირებულ პირზე, ან სათაო კომპანიაზე, მაგრამ არ შემოიფარგლოს მათით და კრაუნ ეიჯენტსი პასუხისმგებელი იქნება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოქმედებაზე ან დაუდევრობაზე, რასაც დაუშვებს აფელირებული პირი.

3. ძალაში შესვლა

ეს ხელშეკრულება შევა ძალაში იმ დღეს რა თარიღიც იქნება მითითებული ამ შეთანხმების პირველ გვერდზე და გაგრძელდება იქამდე, სანამ ყველა ხელმისაწვდომი თანხა არ იქნება გამოყენებული ნოტების ურთიერთგაცვლის შესაბამისად, ან არ გაუქმდება ნოტების ურთიერთგაცვლის პირობების შესაბამისად, ან ხელშკრულების გაუქმების გამო, ხელშკრულებაში მითითებული პირობების შესაბამისად.

4. შესყიდვის პროცედურა

მიმღების სახელით პროდუქციისა და/ან მომსახურების შესყიდვის განხორციელებისას, კრაუნ ეიჯენტსი იმოქმედებს აგენტის მომსახურების იმ მოცულობით, რაც აღნიშნულია თანდართულ ნოტების ურთიერთგაცვლის დოკუმენტში და უზრუნველყოფს სათანადო შესყიდვებს და ასევე იმ პროცედურების მიხედვით, რაც მოცემულია თანდართულ დანართ A-ში (ან ისეთ სხვა პროცედურებს, რაც შეიძლება დრო და დრო წერილობით იყოს შეთანხმებული მხარეებს შორის, იმ პირობით, რომ ასეთი პროცედურები ყველა ასპექტში შესაბამისი იქნება ნოტების ურთიერთგაცვლის მოთხოვნებთან.

5. ტრანსპორტირება და დაზღვევა

მიმღების მოთხოვნების შესაბამისად, კრაუნ ეიჯენტსი ორგანიზებას გაუწევს ისეთ საქმიანობას, რაც იქნება შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული საქონლისა და/ან მომსახურების შესყიდვისთვის, სათანადო ეფექტური ტრანსპორტირებისთვის და საზღვაო დაზღვევისთვის.

6. ხარისხის კონტროლი და ინსპექტირება

იმ შემთხვევაში თუ კრაუნ ეიჯენტსი ჩათვლის, რომ ამ ხელშეკრულების ფარგლებში შესასყიდი საქონელი საჭიროებს ტექნიკურ ინსპექტირებას, ისინი წარუდგენენ რეკომენდაციებს მიმღებ მხარეს და დეტალურად აღწერენ ინსპექტირების მოცულობას და ამ ინსპექციისთვის საჭირო გადასახდელ ჰონორარს. მიმღებისგან დავალების მიღებისთანავე, კრაუნ ეიჯენტსი განახორციელებს ხარისხის შესამოწმებელ ინსპექტირებას. ინსპექტირების ჰონორარი დეპონირებული იქნება შესყიდვის ანგარიშზე.

7. კრაუნ ეიჯენტსის ვალდებულებები

კრაუნ ეიჯენტსი განახორციელებს მომსახურებას როგორც აგენტი და გამოიყენებს შესაბამის კვალიფიკაციას და სიფრთხილეს აგენტის საქმიანობისას, კერძოდ კი მოიპოვებს ყველაზე ხელსაყრელ არსებულ პირობებს მიმღებისთვის პროდუქციისა და/ან მომსახურების შესყიდვისას. თუ კი მიმღები განიცდის რაიმე ზარალს კრაუნ ეიჯენტსის მოქმედებით ან დაუდევრობით, ამ ხელშკრულების ფარგლებში, კრაუნ ეიჯენტსი იქნება პასუხისმგებელი მიმღების წინაშე მხოლოდ პირდაპირი ზარალის ან დაზიანებისთვის (რაც გამორიცხავს დაკარგულ მოგებას ან შემოსავლებს ან კლიენტების კეთილგანწყობის დაკარგვას, რეპუტაციას ან შესაძლებლობებს), რომელიც იქნება გამოწვეული მხოლოდ კრაუნ ეიჯენტსის მხრიდან თავისი ვალდებულებების მიზანმიმართული არასწორი ქმედებით.

კრაუნ ეიჯენტსი არ იქნება პასუხისმგებელი მიმღების წინაშე რაიმე სახის სპეციალური, არაპირდაპირი ან ირიბი ზარალისთვის, დაკარგული მოგების ან შემოსავლებისთვის ან რეპუტაციის ან შესაძლებლობების დაკარგვისთვის, რაც იქნება გამოწვეული ან უკავშირდება ამ ხელშეკრულებას, ან რაიმე სახის დარღვევასთან ან შეუსრულებლობასთან. ზარალის სრული ოდენობა, რომელზეც კრაუნ ეიჯენტსი შეიძლება იყოს ვალდებული არ უნდა აღმატებოდეს იმ ოდენობას, რასაც მიმღები იხდის როგორც აგენტის ჰონორარს, წინამდებარე ხელშეკრულების პუნქტი 9-ის მიხედვით. ამ პუნქტში გაჟღერებული დებულებების მიუხედავად, კრაუნ ეიჯენტსი არ გაურბის შეზღუდოს ან გამორიცხოს თავისი პასუხისმგებლობა თუ საქმე ეხება ნებისმიერ სიკვდილს, ან ფიზიკურ ზიანს, რაც მიადგა მათი უყურადღებობით ან რაიმე სხვა ვალდებულებებით, რომელიც არ შეიძლება იყოს იურიდიულად შეზღუდული ან გამორიცხული.

8. კომპენსაცია

მიმღები აანაზღაურებს და გააგრძელებს კრაუნ ეიჯენტსის ნებისმიერი ხარჯის, მოთხოვნის ან დანახარჯის ანაზღაურებას, რაც აგენტის სათანადო მუშაობის შედეგად წარმოიქმნება.

9. აგენტის ჰონორარი

მიმღები გადაუხდის კრაუნ ეიჯენტსს აგენტის მომსახურების ჰონორარს წინამდებარე შეთანხმების დანართ A-ში აღწერილი პროცედურის შესაბამისად და ასევე ამავე დოკუმენტში დანართ B-ში აღწერილი „აგენტის ჰონორარის“ მიხედვით.

10. პირობები, რაც წინ უძღვის სამუშაოების დაწყებას

პუნქტი 3-ის დებულებების მიუხედავად, კრაუნ ეიჯენტსს არ მოეთხოვება აგენტის მომსახურების დაწყება ამ ხელშეკრულების ფარგლებში სანამ:

(i) ხელი არ მოეწერება ნოტების ურთიერთგაცვლის დოკუმენტს (EON) და ის არ შევა ძალაში;

(ii) ეს ხელშეკრულება არ იქნება დამტკიცებული იაპონიის მთავრობის მიერ;

(iii) უფლებამოსილი პირის მიერ ხელი არ მოეწერება „გადახდის საყოველთაო ავტორიზებას“ (BDA) როგორც ეს აღწერილია EON-ში ან საბანკო შეთანხმებაში და კრაუნ ეიჯენტსი არ მიიღებს მას. ხელმოწერილი BDA-ს მიღების შემდეგ კრაუნ ეიჯენტსი მიაწვდის მოთხოვნას სახსრების მიღებაზე (DB) და დეტალურ ბიუჯეტს; და

(iv) სანამ პირველ გადახდას არ მიიღებს, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი დანართ B-ს პუნქტ 4.1 ში.

11. გადახდა და ხარჯთაღრიცხვის პროცედურები

ამ ხელშეკრულებით გათვალისიწნებული გადახდების პროცედურა საქონლისა და/ან მომსახურების შესყიდვაზე, და მიმღებისთვის და იაპონიის მთავრობისთვის ანგარიშგება განხორციელდება იმ სქემით, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ A-ში.

12. მიმღების ვალდებულებები

a. მიმღები მისცემს კრაუნ ეიჯენტსს ან დაავალებს მას, რომ მიიღოს ყველა საჭირო ნებართვა, თანხმობები, ლიცენზიები, დაშვებები ან სხვა უფლებამოსილებები, რაც საჭიროა მიმღებ ქვეყანაში და რაც უკავშირდება აგენტის მომსახურებას ან გაუწევს დახმარებას კრაუნ ეიჯენტსს, რათა მათ მოიპოვონ ასეთი საჭირო ნებართვები. მიმღები მხარე ასევე მისცემს კრაუნ ეიჯენტსს მიმღები ქვეყნის იმ პირების სახელებსა და გვარებს და მათ ხელმოწერებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მისცენ დავალებები კრაუნ ეიჯენტსს, ან წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ხელს მოაწერენ დოკუმენტებს.

b. მიმღები, კრაუნ ეიჯენტსის სახელით, მოაგვარებს ყველა სხვა ფორმალურ მხარეს, რაც შეიძლება საჭირო იყოს კრაუნ ეიჯენტსის თანამშრომელთა შემოსვლას და ცხოვრებას ქვეყანაში, ამ ხელშეკრულების ფარგლებში აგენტის მომსახურების განხორციელების პერიოდში.

c. მიმღები გაათავისუფლებს კრაუნ ეიჯენტსს საბაჟო გადასახადებისგან, შიდა დაბეგვრისგან და სხვა ფისკალური გადასახადისგან, რაც შეიძლება დაეკისროს კრაუნ ეიჯენტსს მიმღებ ქვეყანაში აგენტის მომსახურების გაწევისას (რაც ეხება და არ შემოიფარგლება ტვირთით, რომელსაც ჩამოიტანს კრაუნ ეიჯენტსი მიმღებ ქვეყანაში და მის მიერ გაწეული მომსახურებით, რაც განხორციელდება ამ ხელშეკრულების შესრულების პერიოდში), კომპენსაციას ან ხელფასებს, რაც გაიცემა კრაუნ ეიჯენტსის თანამშრომლებზე ან ნებისმიერი თანხა, რაც გადახდილია ან უნდა გადაეხადოს კრაუნ ეიჯენტსს ან დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებასთან.

13. სუვერენის იმუნიტეტის გამოყენება

მიმღები უპირობოთ უარს ამბობს და ეთანხმება იმ პირობას, რომ უარი თქვას ნებისმიერ საპროცესო მოქმედებებზე, რაც დაკავშირებულია ამ ხელშკრულების შესრულებაზე ან ნებისმიერ დოკუმენტზე ამ ხელშეკრულების ძალით, ნებისმიერ ან ყველა პრიველიგიაზე ან სუვერენულ იმუნიტეტზე, სასამართლო სარჩელებზე ან იძულებითი აღსრულების შესაძლებლობაზე, ან ნებისმიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე, მისი ქონებისის დაყადაღებაზე ან შესრულებაზე ან რაიმე სხვა სახის იურიდიულ პროცესზე, რომელიც შეიძლება გამოტანილ იქნას მიმღების მიმართ, საერთაშორისო ან ადგილობრივი კანონმდებლობით, როგორც პროცედურული თავდაცვა ან სხვაგვარად.

14. ფორს მაჟორი

არცერთი მხარე არ ჩაითვლება დამნაშავედ ან ამ ხელშეკრულების დამრღვევად, თუკი რომელიმე მხარე ვერ შეძლებს მუშაობას, რადგანაც ვითარება ამ მხარის კონტროლს არ დაექვემდებარება და რის თაობაზეც მხარეები ხელშეკრულების გაფორმებამდე არ იქნებიან ინფორირებულები. ასეთი ვითარება (შემდეგში მოხსენიებული როგორც ფორს მაჟორი) შეიძლება გაჩნდეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

15. ხელშეკრულების ოპერირება

15.1 მიმღები და კრაუნ ეიჯენტსი თანხმდება, რომ მათ აკავშირებთ EON-ის დებულებები, და ის წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს.

15.2 მიმღები და კარუნ ეიჯენტსი აღიარებენ, რომ არაპრაქტიკულია ამ ხელშკრულებაში ყველა გაუთვალისწინებელი ვითარების ჩამოთვლა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების შესრულების პერიოდში. მიმღები და კრაუნ ეიჯენტსი თანხმდებიან, რომ ეს ხელშეკულება შესრულდება პატიოსნად და მათი შესაბამისი ინტერესებისთვის ზარალის მიყენების გარეშე და თუკი მომავალში, ხელშეკრულების შესრულების პერიოდში, რომლიმე მხარე ჩათვლის, რომ ადგილი აქვს არაწესიერ მოქმედებას, რომელიმე მხარის მხრივ, მიმღები და კრაუნ ეიჯენტსი გამართავენ გულწრფელ კონსულტაციებს, რათა შეთანხმდნენ ისეთ მოქმედებებზე, რაც იქნება აუცილებელი ასეთი მოქმედების მიზეზის ან მიზეზების აღმოსაფხვრელად.

16. შეწყვეტა

16.1 მიმღებს შეუძლია შეწყვიტოს ეს ხელშკრულება ოცდაათი (30) დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით, იმ შემთხვევაში თუ:

a) კრაუნ ეიჯენტსი არ აღმოფხვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავისი ვალდბულებების შეუსრულებლობას, შეწყვეტის შესახებ წერილობთ მიღებული შეტყობინების შემდეგ 30 დღის განმავლობაში ან მიმღების მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შემდგომი პერიოდის განმავლობაში;

b) კრაუნ ეიჯენტსი გაკოტრდება;

c) ან პუნქტი 19.3-ის შესაბამისად, თუკი კრაუნ ეიჯენტსი დაარღვევს თავის ვალდებულებებს დანართი H -ის ფარგლებში.

16.2 კრაუნ ეიჯენტსს აქვს უფლება შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ოცდაათი (30) დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით, იმ შემთხვევაში თუ:

a) მიმღები არ აღმოფხვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობას, შეწყვეტის შესახებ წერილობთ მიღებული შეტყობინების შემდეგ 30 დღის განმავლობაში ან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შემდგომი პერიოდის განმავლობაში, რასაც მოყვება კრაუნ ეიჯენტსის მიერ შემდგომი წერილობითი დასტური;

b) ფორს მაჟორის შედეგად, კრაუნ ეიჯენტსს არ შეუძლია აგენტის მომსახურების თავისი მატერიალური წილის შესრულება, არანაკლებ სამოცი (60) დღის განმავლობაში; ან

c) პუნქტი 19.3-ის შესაბამისად, თუკი მიმღები დაარღვევს თავის ვალდებულებებს დანართი H -ის ფარგლებში.

16.3 კრაუნ ეიჯენტსი, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, გადადგამს ყველა აუცილებელ ნაბიჯს, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მომსახურების შესაწყვეტად ორგანიზებული, მაგრამ სწრაფი და ეკონომიკური გზით. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ გამოიწვევს არც ერთი მხარის მოთხოვნების ან მიღებული უფლებების შელახვას. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, კრაუნ ეიჯენტსს უფლება ეძლევა მოითხოვოს და აუნაზღაურდეს ყველა ის ჰონორარი, რაც ამ თარიღისთვისაა გადასახდელი ან კრაუნ ეიჯენტსის მიერ შესრულებული მომსახურების იმ პროპორციით, რაც ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისთვის არის გადასახდელი, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ დანართ B-ში და ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული ყველა სხვა დანახარჯი იმ პირობით, თუ ეს შეწყვეტა არ არის გამოწვეული პუნქტი 16.1 (a) და/ან (b)-ს დებულებებით.

16.4 იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით ხელშეკრულება შეწყდება, კრაუნ ეიჯენტსმა შეწყვეტის თარიღიდან 45 დღის ვადაში უნდა მოამზადოს და უნდა მიაწოდოს მიმღებს წერილობითი ანგარიში, სადაც მითითებული იქნება შესყიდვების ანგარიშზე დარჩენილი თანხის ოდენობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩამორიცხული ან მომზადებულია ჩამოსარიცხად.

16.5 ზემოაღნიშნულ ანგარიშს თან უნდა ახლდეს დამოუკიდებელი აუდიტორის სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს ანგარიშში მითითებული თანხების სიზუსტეს.

16.6 კრაუნ ეიჯენტსი თავად გადაურიცხავს, ან იაპონიის მთავრობის დავალებით უწყისში მითითებულ თანხას 45 დღის განმავლობაში, მას შემდეგ რაც ამ უწყისს მიიღებს კრაუნ ეიჯენტსი.

16.7 კრაუნ ეიჯენტსისთვის გადასახდელი სახსრების გადარიცხვა, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ, განხორციელდება შესყიდვების ანგარიშიდან, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულებაში, ან თუ საკმარისი თანხა ანგარიშზე არ იქნება მიმღების ანგარიშიდან კრაუნ ეიჯენტსის მიერ ინვოისის გამოგზავნიდან 45 დღის განმავლობაში.

17. სადავო საკითხების დარეგულირება

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნებისმიერი დავა და უთანხმოება, რომელიც ვერ გვარდება ორივე მხარის მიერ მეგობრულად, განიხილება საარბიტრაჟო სასამართლოში საარბიტრაჟო წესების დებულებების (UNCITRAL) შესაბამისად ერთი ან რამდენიმე არბიტრის მიერ, რომლებიც დაინიშნებიან წესების მიხედვით. საარბიტრაჟო სასამართლოს ადგილი განისაზღვრება ორივე მხარის შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში - ქალაქ ჟენევაში, შვეიცარია. საარბიტრაჟო სასამართლო გაიმართება ინგლისურ ენაზე.

18. მარეგულირებელი კანონმდებლობა

ამ ხელშკრულების ვადა, ფორმა და შესრულება დარეგულირდება იაპონიის კანონმდებლობის მიხედვით.

19. სხვადასხვა

19.1 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებისა და მის რომელიმე დამატებებს შორის აღმოჩენილი იქნება წინააღმდეგობრივი ან არათანამიმდევრული პირობები, უპირატესობა ხელშეკრულების პირობებს მიენიჭება.

19.2 არც ერთი მხარე არ მიისაკუთრებს, მიანდობს ან რაიმე სხვა სახით განკარგავს თავის უფლებებს ამ ხელშკრულების ფარგლებში მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ყოველ მოცემულ შემთხვევაში.

19.3 მხარეები ინარჩუნებენ ყველაზე მაღალ ეთიკურ ნორმებს ამ ხელშკრულების განხორციელებისას და ასრულებენ ყველა ვალდებულებებს, რაც ჩამოყალიბებულია EON-ში. ამ ვალდებულებების ნებისმიერი დარღვევა წარმოადგენს წინამდებარე ხელშკრულების დარღვევას, რომლიც არ შეიძლება იყოს აღმოფხვრილი და უფლებას აძლევს არადამნაშავე მხარეს გაწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება პუნქტი 16.1 (დ) ან პუნქტი 16.2 (გ)-ს შესაბამისად, ვითარებიდან გამომდინარე.

რის დასტურადაც მხარეების უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა მოილაპარაკეს და ხელი მოაწერეს იმ თარიღში, რომელიც მითითებულია წინამდებარე დოკუმენტის პირველ გვერდზე.

ხელმოწერილია:

საქართველოს მთავრობისთვის და მთავრობის სახელით

_____

გიორგი წოწკოლაური
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

კრაუნ ეიჯენტსისთვის იაპონია და მისი სახელით

_____

for
ეი იამაშიტა
წარმომადგენლობის დირექტორი/პრეზიდენტი
შპს კრაუნ ეიჯენტსი იაპონია

შესყიდვები და ანგარიშგების პროცედურები

1. მიმღებისთვის კრაუნ ეიჯენტსის მიერ შესყიდვების და ანგარიშგების განხორციელების დებულებები ჩამოყალიბებულია ამ დანართში.

2. **შესყიდვების განხორციელება**

2.1 შესყიდვები განხორციელდება იაპონიის მთავრობის მიერ შემუშავებული ინსტრუქციებით და სახელმწიფო სამსახურის უმაღლესი სტანდარტით და პრინციპებით სწრაფი გადახდების, და როგორც ეს შესაძლებელი იქნება, მიმღებისა და საბოლოო მომხმარებლებისთვის საუკეთესო გარიგების მოძიებით.

2.2 კრაუნ ეიჯენტსი მიიჩნევს, რომ პრინციპში, კონკურენტული შესყიდვები (Competitive Bidding - CB) ზემოთ ნახსენები მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საუკეთესო მეთოდია, საქონლისა და მომსახურების შესყიდვისთვის. CB მეთოდის გამოყენებისას, კრაუნ ეიჯენტსი შეიძენს საქონელსა და/ან მომსახურებას CB-ს გამოყენებით ამ დანართის პარაგრაფ 2.2 -ს და 2.3-ში აღწერილი პროცედურების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში თუ შესყიდვა განხორციელდება CB მეთოდით, კრაუნ ეიჯენტსი გამოაქვეყნებს ტენდერში მონაწილეობის მიღების მოწვევას (General Procurement Notice - GPN) წინასწარი კვალიფიკაციის დადგენის მიზნით, და გამოაქვეყნებს მას მსხვილი ტირაჟის მქონე გაზეთებში (მაგ. Japan Times, The Wall Street Journal და Financial Time-ში) და კრაუნ ეიჯენტსის ვებ-გვერდზე. GPN მოიცავს ინფორმაციას დონორის, მიმღების, გრანტის ოდენობის და მისი დანიშნულების, შესასყიდი პროდუქციის დასახელების და/ან მომსახურების შესახებ და ასევე წინასაკვალიფიკაციოდ საჭირო დოკუმენტების შესახებ წინადადების მისაწოდებლად, როდესაც ამას მოითხოვს კრაუნ ეიჯენტსი.

თუ წინასწარი კვალიფიკაციის მიღება აუცილებელი გახდება, იგი უნდა სრულად ეფუძნებოდეს ტენდერში პოტენციური მონაწილეების შესაძლებლობებს - დამაკმაყოფილებლად შეასრულონ კონკრეტული კონტრაქტი, სადაც გათვალისწინებული იქნება:

(i) გამოცდილება და ანალოგიურ შესყიდვებში მონაწილეობა;

(ii) გაყიდვების შემდგომი მომსახურების და საგარანტიო მომსახურების შესაძლებლობები;

(iii) ფინანსური მდგომარეობა.

2.3 საკონკურსო ვაჭრობის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში კრაუნ

ეიჯენტსი

(i) მოამზადებს და შეათანხმებს შესყიდვების გეგმას მიმღების მიერ შესყიდვისთვის განსაზღვრული პროდუქციისთვის. სადაც საჭირო იქნება გაიმართება დეტალური მოლაპარაკებები მიმღებთან და საბოლოო მომხმარებლებთან;

(ii) მოამზადებს სატენდერო დოკუმენტაციას სპეციფიკაციებით; სადაც საჭირო იქნება გაიმართება დეტალური მოლაპარაკებები მიმღებთან და საბოლოო მომხმარებლებთან;

(iii) გამოუშვებს სატენდერო დოკუმენტებს, რომელიც შეიცავს მთელ ინფორმაციას, რაც საჭირო იქნება ტენდერში სავარაუდო მონაწილესათვის სატენდერო მასალის მოსამზადებლად;

(iv) განახორციელებს სატენდერო დოკენტაციის გახსნას იმ თარიღში, როდესაც ბოლო სატენდერო დოკუმენტაციის მოსვლაა მითითებული ან სწრაფად მის შემდეგ.

(v) სატენდერო მასალების გახსნის შემდეგ, დაიწყებს ტენდერში მონაწილეთა მასალის შეფასებას და შედარებას იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ტენდერში მონაწილეთა შედარება ფასის და შესაბამისი ფაქტორების მიხედვით. (სატენდერო დოკუმენტები ფასის გარდა, ჩამოაყალიბებს ასეთ ფაქტორებს, რაც გათვალისწინებული იქნება ტენდერის შეფასებისას და ასევე იმ მეთოდს, რაც იქნება გამოყენებული, იმ მიზნით, რომ განისზღვროს საუკეთსოდ შეფასებული ტენდერი);

(vi) მოამზადებს წინადადებების შეფასების დეტალურ ანგარიშს და ინფორმაციას შედარების შესახებ, ყველა სპეციფიკური არგუმენტის მითითებით, რომელზეც დაფუძნებულია კონტრაქტის მინიჭების რეკომენდაცია და ასლებს გადაუგზავნის მიმღებს, მათი მხრიდან კონტრაქტის დადებაზე წერილობითი დასტურის მისაღებად; და

(vii) მიმღებისა და საბოლოო მომხმარებლის მხრიდან დასტურის მიღების შემდეგ კრაუნ ეიჯენტსი იწყებს კონტრაქტების დადებას ტენდერში გამარჯვებულებთან.

2.4 შეიძლება შეიქმნას ისეთი ვითარება, სადაც CB არ იქნება მიზანშეწონილი და კრაუნ ეიჯენტსი ჩათვლის საჭიროდ ალტერნატიული პროცედურის გამოყენებას, რაც მისაღბი იქნება შემდეგ შემთხვევებში:

(i) როდესაც კვალიფიციური კონტრაქტორების, მომწოდებლების ან მწარმოებლების რიცხვი ლიმიტირებულია;

(ii) როდესაც შესყიდვის თანხა იმდენად მცირეა, რომ სავარაუდო მომწოდებლები არ იქნებიან დაინტერესებულები, ან სადაც CB მეთოდის უპირატესობები გადაიწონება ადმინისტრაციული ტვირთით;

(iii) ჩაატარებს განმეორებით ნაწილობრივ ან მთლიან ტენდერს, თუ CB მეთოდის პროცედურა გაუქმდა;

(iv) თუკი დასაკვეთი პროდუქცია დაპატენტებულია, ან სათადარიგო ნაწილები ან საქონელი, რომელსაც ერთი მწარმოებელი ჰყავს; ან

(v) სადაც გარდა (i), (ii), (iii) და (iv) შემთხვევებისა კრაუნ ეიჯენტსი ჩათვლის, რომ CB მეთოდის პროცედურების გამოყენება შეუსაბამოა, მაგალითად სასწრაფო შესყიდვა.

2.5 ზემოხსენებულ ვითარებაში შემდეგი შესყიდვის მეთოდები შეიძლება იყოს გამოყენებული, პატიოსნების, თანაბარი შესაძლებლობების, ეფექტურობის და ეკონომიის გათვალისწინებით:

(i) შეზღუდული ტენდერი, რომელიც ფაქტიურად კონკურენტული ტენდერია პირდაპირი მოწვევით ღია გამოცხადების გარეშე;

(ii) შესყიდვები ღია ბაზარზე, რაც წარმოადგენს შესყიდვების მეთოდს და დაფუძნებულია ფასების კვოტირების შედარებაზე და რაც მიღებულია რამდენიმე (სულ მცირე სამი) ტენდერში მონაწილისგან, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონკურებტული ფასები;

(iii) კონტრაქტის პირდაპირი დადება, როდესაც კრაუნ ეიჯენტსი პირდაპირ მომწოდებელთან აწარმოებს მოლაპარაკებას, სანამ კონტრაქტს გააფორმებს მასთან. სადაც პრაქტიკულად ჩაითვლება, კრაუნ ეიჯენტსი შეეცდება შეადაროს ფასი წინა მსგავსი კონტრაქტების ფასს.

2.6 მიმღებმა და კრაუნ ეიჯენტსმა უნდა მოილაპარაკონ, შეთანხმდნენ და წერილობით დაამტკიცონ შესყიდვის მეთოდები, რომლებიც იქნება გამოყენებული საქონლის და/ან მომსახურების შესასყიდად წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით.

2.7 კონტრაქტების დადების შემდეგ, კრაუნ ეიჯენტსი ატარებს კონტრაქტის მიმდინარეობის მონიტორინგს და მიმღებს და საბოლოო მომხმარებელს აწვდის ყოველკვარტალურ ანგარიშს.

2.8 კრაუნ ეიჯენტსი ფირმებისგან მიიღებს სატრანსპორტო დოკუმენტებს და სხვა საჭირო დოკუმენტაციას და შეამოწმებს, რომ დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება ყოველი ინდივიდუალური კონტრაქტის პირობებს მოწოდებაზე.

2.9 თუ საჭირო გახდება, კრაუნ ეიჯენტსი უფლებამოსილი ორგანიზაციისგან მოთხოვნის მიღების შემთხვევაში გაუწევს მას შემდეგ მომსახურებას:

- გაუგზავნის მიმღებს და საბოლოო მომხმარებელს კონტრაქტის ასლს მოწოდებაზე;
- ჩაატარებს ხარისხის ინსპექციას, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში;
- დააჩქარებს კონტრაქტების შესრულებას და დაადასტურებს მოხდა თუ არა

მოწოდება მოთხოვნილ ვადებში;

- მიმღების სახელით მიაწვდის მომწოდებელს ინფორმაციას საქონლის დატვირთვაზე, მარკირებასა და ტრანსპორტირებაზე მოთხოვნებთან შესაბამისობად;
- მიმღების სახელით ორგანიზებას გაუწევს ტრანსპორტირებას;
- მიმღების სახელით ორგანიზებას გაუწევს საზღვაო დაზღვევას;
- გაუგზავნის შეტყობინებას მიმღებს ყოველ დატვირთვაზე, დატვირთვის თარიღზე, საქონლის ჩამოსვლის მოსალოდნელ თარიღზე, საზღვაო ტრანსპორტის დასახელებაზე და ანგარიშ-ფაქტურაზე;
- უზრუნველყოფს, რომ სატრანსპორტო დოკუმენტაცია (კონოსამენტი) გამოწერილი იყოს შესაბამის ტვირთის მიმღებზე; და
- უზრუნველყოფს, რომ ყველა დოკუმენტის ორიგინალი პირდაპირ მიეწოდოს ტვირთის მიმღებს.

2.10 ფირმებთან, გადამზიდ კომპანიებთან და დამზღვევებთან ანგარიშსწორება მოხდება კრაუნ ეიჯენტსის მიერ შესაბამისი კონტრაქტის ღირებულების გადარიცხვით შესყიდვების ანგარიშზე.

3. კომიტეტის მომსახურება

იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეტყობინების მიღების შედეგად ხელშეკრულება შეწყდება, კრაუნ ეიჯენტსი გაუწევს საკონსულტაციო მომსახურეობას კომიტეტს EON-ის შესაბამისად, EON-ის ხელმოწერიდან სამი წლის განმავლობაში ან სანამ თანხების გამოყენება არ შეწყდება, იმის მიხედვით, რომელი თარიღიც უფრო გვიანი იქნება. კრაუნ ეიჯენტსი განახორციელებს ანგარიშის მიწოდების მომსახურებას ხუთი წლის განმავლობაში EON-ის ძალაში შესვლის დღიდან.

4. ანგარიშგების განხორციელება

4.1 ხელშეკრულების ხელისმოწერის შემდეგ, მიმღები მხარე მიმართავს კრაუნ ეიჯენტსს თხოვნით, რომ კრაუნ ეიჯენტსმა ბანკში გახსნას ანგარიში (შესყიდვის ანგარიში) - (Procurement Account").

იმავდროულად კრაუნ ეიჯენტსი იაპონურ ბანკს გადასცემს ხელმოსაწერად:

(i) წინამდებარე ხელშეკრულების დამტკიცების (ხელმოწერის) ასლს;

(ii) გადახდის ყოვლისმომცველი ავტორიზაციის ორიგინალს (BDA);

(iii) ავანსისთვის გადარიცხვის მოთხოვნას;

(iv) აგენტის საავანსო ჰონორარის (ბიუჯეტის) დეტალურ დაანგარიშებას;

რათა მოიპოვოს თანხების გადარიცხვის უფლება საქონლის და/ან მომსახურების შესასყიდათ და აგენტის ჰონორარის გადასახდელად და რომლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა არის EON-ზე ან საბანკო გადარიცხვებზე.

მოთხოვნილი თანხის მიღების შემდეგ, კრაუნ ეიჯენტსი სასწრაფოდ დააკრედტირებს შესყიდვების ანგარიშს და დაუყოვნებლივ ახდენს მთელი მისაღები თანხის დებეტირებას, როგორც ეს ამ ხელშეკრულების დანართ B-შია მოცემული - გადახდების განრიგი - 4.1 პირველი გადახდა.

4.2 კრაუნ ეიჯენტსის მიერ რომელიმე კონტრაქტის შესრულებამდე ბანკი გადახდაზე მოთხოვნის (DR) მიღებისთანავე, მიიღებს შესაბამის სახსრებს იაპონიის ბაკიდან კონტრაქტის ღირებულების დასაფარად და მასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ასანაზღურებლად. სახსრების მიღების შემდეგ სახსრები განთავსდება შესაბამის შესყიდვის ანგარიშზე სანამ არ მოვა ფაქტიური გადახდა/ების დრო და კრაუნ ეიჯენტსი არ დაადასტურებს მომწოდებელთან კონტრაქტის გაფორმებას.

როდესაც კრაუნ ეიჯენტსი კონტრაქტს დაადასტურებს, ის თანხები, რომელიც გამოიყოფილია კონტრაქტის საფასურის გადასახდელად, მიმღების მიერ ვერ იქნება გამოყენებული რაიმე სხვა მიზნით.

4.3 კრაუნ ეიჯენტსი არ იქნება ვალდებული გააფორმოს მიმღების სახელით საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვის კონტრაქტი, სანამ შესყიდვების ანგარიშზე არ იქნება მიღებული თანხა, არანაკლებ კონტრაქტის მთლიანი ღირებულების და მასთან დაკავშირებული კრაუნ ეიჯენტსის ხარჯები ექვივალენტურ ვალუტაში.

4.4 მიმღებს ყოველთვიურად მიეწოდება ინფორმაცია შესყიდვების ანგარიშის მდგომარეობის შესახებ, სადაც მითითებული იქნება საწყისი და საბოლოო ბალანსი.

4.5 ბანკს ნებისმიერ დროს ექნება უფლება ანგარიშის დაკრედიტებისთვის განკარგოს ანგარიშზე დარიცხული თანხები და ბანკის ყველა ვალდებულებება ანგარიშის მიმართ, როგორც მიმღების ბენეფიციურ მფლობელს, რომელიც გათავისუფლებულია ყველა სახის ფულის დაკავებისგან ვალების გამო, სხვა მოსაკრებლებისგან, აქციონერების კაპიტალისა ან ვალდებულებებისგან, ნებისმიერი მითითების ან შეტყობინების მიღების მიუხედავად. მიმღები აუნაზღურებს და გააგრძელებს კრაუნ ეიჯენტსისთვის ნებისმიერი ზარალის, მოთხოვნის და ხარჯების ანაზღაურებას, რაც მათ მიადგათ გირაოსთან, ვალის გადახდის ვალდებულებებთან, სააქციო კაპიტალთან დაკავშირებით, რაც ეხება მიმღების ნებისმიერი ანგარიშიდან თანხების ამოღების პრეტენზიებს.

4.6 იმ შემთხვევაში თუ კრაუნ ეიჯენტსი განახორციელებს მომსახურებას, რომლის შედეგად საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვაზე კონტრაქტი არ დაიდება მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, კრაუნ ეიჯენტსს უფლება აქვს მოითხოვოს და მას უნდა აუნაზღაურდეს აგენტის ჰონორარის ის ნაწილი, რაც ეს მითითებულია დანართ B-ში.

4.7 კრაუნ ეიჯენტსი მიიღებს ავანსს იაპონიის ბანკიდან გადახდაზე მოთხოვნის მიწოდების შემდეგ.

4.8 სანამ კრაუნ ეიჯენტსი დაადასტურებს კონტრაქტის გაფორმებას მომწოდებელთან საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვაზე, კრაუნ ეიჯენტსმა უნდა მიიღოს მიმღებისგან

ავტორიზება (ხელმოწერა). კრაუნ ეიჯენტსი გადაუხდის მომწოდებელს საქონლის და/ან მომსახურების საფასურს კონტრაქტის მიხედვით. ყველა დაკავშირებული ხარჯები და გადასახადები ასეთი გადარიცხვისთვის გადაიხდება შესყიდვების ანგარიშიდან.

4.9 ნებისმიერი პროცენტი დარიცხული შესყიდვის ანგარიშზე გამოყენებული იქნება საქონლის და/ან მომსახურების გადასახდელად.

4.10 როდესაც კრაუნ ეიჯენტსი მოითხოვს თანხების საბოლოო გადარიცხვას მიმღების ანგარიშიდან შესყიდვების ანგარიშზე, კრაუნ ეიჯენტსი მოსთხოვს ბანკს გადარიცხოს დარჩენილი თანხა პლუს ნებისმიერი საპროცენტო დანარიცხი მიმღბის ანგარიშიდან შესყიდვების ანგარიშზე.

4.11 მაშინ, როდესაც მიმღების ანგარიშზე ან შესყიდვების ანგარიშზე დარჩება გრანტის საერთო ოდენობის და მასზე დარიცხული პროცენტის 3%-ზე ნაკლები მიმღებმა უნდა მოსთხოვოს კრაუნ ეიჯენტსს გადმორიცხოს დარჩენილი თანხა. მიმღები მიაწვდის კრაუნ ეიჯენტსს გადმორიცხვის მოთხოვნის ფორმას და ინვოისს, რომელიც თან დაერთვება CEP-ს (ნებადართული შესყიდვის სერტიფიკატს) დარჩენილ თანხაზე მიმღების მიერ განხორციელებული ნებადართული საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვის გადასახდელად EON-ის შესაბამისად ან გაცვლითი ნოტების ძალაში შესვლის შემდეგ. ინვოისის თანხა იქნება გადმოსარიცხი თანხის ექვივალენტი ან მეტი. ამ დოკუმენტების მიღების შემდეგ კრაუნ ეიჯენტსი გამოუშვებს CEP-ს დარჩენილ თანხაზე. ხელმოწერილი ნებადართული შესყიდვების სერთიფიკატის მიღების შემდეგ კრაუნ ეიჯენტსი გადაუგზავნის მის ასლს იაპონიის მთავრობას და შემდეგ გადარიცხავს დარჩენილ თანხას იმ ბანკში, რომელსაც მიმღები მიუთითებს.

4.12 იმ შემთხვევაში თუ ავანსი მიღებული იქნება იაპონურ იენაში, ის კონვერტირდება საჭირო ვალუტაში, გაცვლითი კურსი იქნება ის, რომელიც ექნება ბანკს კონვერტაციის დროს.

4.13 თანხის საბანკო გადარიცხვის კრედიტირება ანგარიშზე მოხდება იმ დღეს, როცა მას მიიღებს ბანკი ან მოგვიანებით, როცა მოხდება გადარიცხვის იდენტიფიცირება. ბანკის საკომისიო ჩაირიცხება მაშინ, როდესაც დადგება გადახდის საჭიროება. ანგარიში დებეტირდება, როდესაც ბანკი კლიენტის სახელით:

ა) განახორციელებს გადახდას, ან სხვა ანგარიშზე გადარიცხვას, ან

ბ) თავის თავზე აიღებს ვალდებულებას განახორციელოს გადახდა (მომავალი ან პოტენციური ვალდებულების ჩათვლით), ან

გ) მიიღებს ინსტრუქციას კრაუნ ეიჯენტსიდან, როგორც მიმღების აგენტისგან, განახორციელოს გადახდა პროცედურების ფარგლებში, რომელსაც იყენებს კრაუნ ეიჯენტსი საქონლის და/ან მომსახურების შესასყიდად.

4.14 როდესაც კრაუნ ეიჯენტსი მომწოდებელს აკრედიტივის საშუალებით უხდის, კრაუნ ეიჯენტსი მოახდენს აკრედიტივის სრული ღირებულებისა და სხვა საბანკო გადასახადის ანგარიშზე დებიტირებას იქამდე, სანამ მისცემს ბანკს განკარგულებას, რომ გახსნას აკრედიტივი. მიმღები უზრუნველყოფს, რომ შესყიდვის ანგარიშზე არის საკმარისი თანხა, რათა დაიფაროს ასეთი აკრედიტივის ღირებულება ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა

RJ

ვალდებულება, რაც გათვალისწინებულია შეთანხმებით. თანხები, რაც დეპონირებული იქნება მიმღების ანგარიშზე, რათა გადახდა მოხდეს აკრედიტივის მეშვეობით, მოხვდება კრაუნ ეიჯენტსის განკარგულებაში, ხოლო კრაუნ ეიჯენტსი გამოიყენებს ამ თანხებს მხოლოდ შესაბამისი გადახდების განსახორციელებლად ბანკისთვის, აკრედიტივის პირობების შესაბამისად.

4.15 თანხები, რომლებსაც მიიღებს კრაუნ ეიჯენტსი შესყიდვების ანგარიშის დასაკრედიტებლად და რომელიც ინახება კრაუნ ეიჯენტსის ბანკში დაექვემდებარება იაპონიის კანონმდებლობას.

<u>დანართი B</u>

აგენტის ჰონორარი

1. კრაუნ ეიჯენტსის დანიშვნასთან დაკავშირებით, და მათთან და იაპონიის მთავრობას შორის დადებული ჩარჩო ხელშეკრულების მიხედვით, მიმღები გადაუხდის კრაუნ ეიჯენტსს აგენტის სრულ ჰონორარს იაპონურ იენაში (JPY). ეს თანხა დაანგარშდება გრანტის თანხის გამრავლებით პროცენტზე და ნაჩვენებია ქვედა ცხრილში, საგრანტო დახმარების ოდენობის გათვალისწინებით და ასევე გრანტის ფარგლებში მიმღების სახელით კრაუნ ეიჯენტსის მიერ მართული და კონტრაქტით შესყიდული ინდივიდუალური საქონლის რაოდენობაზე, იმ მომსახურებისთვის რაც შეესაბამება ამ ხელშეკრულებას. ჰონორარის დაანგარიშების ცხრილი დამტკიცებულია იაპონიის მთავრობის მიერ შემსყიდველი აგენტების შერჩევის პროცესში, რათა რეკომენდაცია გაუწიოს მას მიმღებ მთავრობასთან ამ საგრანტო სქემის ფარგლებში.

შესყიდული ერთეულის რიცხვი / გრანტის ღირებულება (JPY)	1დან 5-მდე	5 - დან 10-მდე	11-დან 15-მდე	16 -დან 20-მდე
300 მილიონიდან 500 მილიონზე ნაკლები	6%	7%	8%	9%

2. შესასყიდი საქონელი და მათი რიცხოვნობა უნდა შეთანხმდეს მიმღებსა და იაპონიის მთავრობას შორის გრანტის მიღბიდან უახლოეს პერიოდში. თუმცა თუ საქონლის ერთეულების რაოდენობა არ იქნება განსაზღვრული, როდესაც ეს ხელშეკრულება შევა ძალაში, პირველი ჰონორარი, რაც მითითებულია პუნქტ 4.1-ში ქვემოთ, მიღებული იქნება იმ ვარაუდით, რომ შესასყიდი საქონლის ერთეულების რიცხვი იქნება 1-დან 5-მდე. თუ ეს რიცხვი გაიზრდება, სანამ საბოლოო რიცხვი გაირკვევა, აგენტის ჰონორარიც შესწორდება შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ შესასყიდი საქონლის ერთეულის რიცხვი აღემატება 20-ს, კრაუნ ეიჯენტსი, იაპონიის მთავრობის დასტურით გამოიანგარიშებს პროცენტს.

3. კრაუნ ეიჯენტსისა და იაპონიის მთავრობას შორის ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში კრაუნ ეიჯენსტის დანიშვნასთან დაკავშირებით, მიმღები გადაუხდის კრაუნ ეიჯენტსს დამატებით აგენტის ჰონორარს იმ შემთხვევაში თუ მათ დასჭირდებათ საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა და/ან მომსახურება, რომელსაც განსაზღვრავს კონსულტანტი გრანტის ფარგლებში. კრაუნ ეიჯენტსი დაადგენს აგენტის დამატებით ჰონორარს, რომელსაც დაადასტურებს იაპონიის მთავრობა.

4. <u>გადახდის განრიგი</u>

აგენტის ჰონორარის სრული თანხის ავანსი გადაირიცხება იაპონურ იენაში მიმღების ანგარიშიდან შესყიდვების ანგარიშზე და აგენტის ჰონორარი გადახდილი იქნება კრაუნ ეიჯენტსისთვის იაპონურ იენაში ავანსიდან შემდეგნაირად:

4.1 პირველი გადახდა

აგენტის ჰონორარის ორმოცი პროცენტი (40%) როგორც ეს განსაზღვრულია პარაგრაფი 1-ის ზედა ცხრილში, რაც შეესაბამება იმ ერთეულების რიცხვს და გრანტის მოცულობას, გადახდილი იქნება კრაუნ ეიჯენტსისთვის შესყიდვების ანგარშიდან კრაუნ ეიჯენტსის მოთხოვნის შემდეგ, ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლითანავე, ზემოთხსენებული პარაგრაფ 9-ის შესაბამისად.

4.2 მეორე გადახდა

აგენტის ჰონორარის ოცდაათი პროცენტი (30%) როგორც ეს განსაზღვრულია პარაგრაფი 1-ის ზედა ცხრილში, რაც შეესაბამება იმ ერთეულების რიცხვს და გრანტის მოცულობას, გადახდილი იქნება კრაუნ ეიჯენტსისთვის შესყიდვების ანგარშიდან კრაუნ ეიჯენტსის მოთხოვნის შემდეგ, როდესაც გრანტის ოდენობა საქონლის და/ან მომსახურების შემენისთვის გაუტოლდება 50%-ს დარიცხული პროცენტიანად, აგენტის ჰონორარის გამოკლებით.

4.3 მესამე გადახდა

აგენტის ჰონორარის ოცი პროცენტი (20%) როგორც ეს განსაზღვრულია პარაგრაფი 1-ის ზედა ცხრილში, რაც შეესაბამება იმ ერთეულების რიცხვს და გრანტის მოცულობას, გადახდილი იქნება კრაუნ ეიჯენტსისთვის შესყიდვების ანგარშიდან კრაუნ ეიჯენტსის მოთხოვნის შემდეგ, როდესაც გრანტის ოდენობა საქონლის და/ან მომსახურების შემენისთვის გაუტოლდება 75%-ს დარიცხული პროცენტიანად, აგენტის ჰონორარის გამოკლებით.

4.4 საბოლოო გადახდა

აგენტის ჰონორარის ათი პროცენტი (10%) როგორც ეს განსაზღვრულია პარაგრაფი 1-ის ზედა ცხრილში, რაც შეესაბამება იმ ერთეულების რიცხვს და გრანტის მოცულობას, გადახდილი იქნება კრაუნ ეიჯენტსისთვის შესყიდვების ანგარშიდან კრაუნ ეიჯენტსის მოთხოვნის შემდეგ, როდესაც გრანტის ოდენობა საქონლის და/ან მომსახურების შემენისთვის გაუტოლდება 97%-ს დარიცხული პროცენტიანად, აგენტის ჰონორარის გამოკლებით.

5. ჰონორარის კორექტირება

5.1 იმ შემთხვევაში, როდესაც შესასყიდი საქონლის ერთეულის პოტენციური რინცხვი მეტია მხარეებს შორის შეთანხმებულ ოდენობაზე, როგორც ეს განსაზღვრულია პარაგრაფ 1-ში, კრაუნ ეიჯენტსისთვის თანხის გადასახდელი ოდენობა აგენტის მომსახურებისთვის კორექტირდება ზემოთკენ ზემოთ მოცემული ჰონორარის გამოანგარიშების ცხრილის შესაბამისად, რომელიც ასახავს განსხვავებას აგენტის ჰონორარის საწყის გაანგარიშებასა და საბოლოო ჰონორარს შორის.

5.2 იმ შემთხვევაში თუ მიმღები კრაუნ ეიჯენტს მოსთხოვს გააფორმოს კონტრაქტი 20 ერთეულზე მეტი და მართოს ის, კრაუნ ეიჯენტსი და მიმღები შეთანხმდებიან ჰონორარის განაკვეთზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ამ შეთანხმებაზე ფორმალური შესწორების შეტანით და შევა ძალაში მას მერე რაც დამტკიცდება იაპონიის მთავრობის მიერ.

6. დამატებითი ჰონორარი

თუკი კრაუნ ეიჯენტსმა განახორციელა აგენტის მომსახურება დადგენილ ვადაზე გვიან, რაც გაწერილია შესყიდვების გეგმაში (დანართი A 2.3 (i) და აგენტის მომსახურების გაგრძელება აუცილებელია იმ მიზეზებით, რაც მათ კონტროლს არ ექვემდებარება, კრაუნ ეიჯენტს დამატებითი ჰონორარის მიღების უფლება აქვს. კრაუნ ეიჯენტსი და მიმღები წერილობით შეთანხმდებიან ჰონორარის განაკვეთზე რომელიც შეიძლება განხორციელდეს ამ შეთანხმებაზე ფორმალური შესწორების შეტანით და შევა ძალაში მას მერე რაც დამტკიცდება იაპონიის მთავრობის მიერ.

<u>დანართი C</u>

გადახდის ყოვლისმომცველი ნებართვა (BDA)

იაპონური საგრანტო დახმარება ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამა

საქათველოს მთავრობის სახელით, უფლებამოსილებას ვანიჭებ

შპს MUFG ბანკს
ტოკიო, იაპონია

რათა მან განახორციელოს სახსრების გადარიცხვა (შესყიდვების ანგარიშზე), კრაუნ ეიჯენტსის მოთხოვნის საფუძველზე იაპონური საგრანტო დახმარების სრული ოდენობით, რომელიც მიღებულია იაპონიის მთავრობისგან იაპონური იენებში 300,000,000 (სამასი მილიონი) ოდენობით მასზე დარიცხულ პროცენტთან ერთად.

გრანტის საერთო თანხა 300,000,000 იაპონური იენა
დეპონირებული ბანკის ანგარიშზე No. 3015650

ზემოხსენებული ანგარიშიდან გადარიცხვა, რაც დაკავშირებულია საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვასთან, უნდა განხორციელდეს შპს MUFG ბანკში - MUFG Bank Ltd, Ichigaya Branch, Tokyo Japan (შესყიდვის ანგარიშიდან) შპს. კრაუნ ეიჯენტსის ანგარიშზე, ანგარიშის # 0476897.

მთავრობის სახელით
(ხელმოწერილია)

(სახელი და გვარი)

(თანამდებობა)

(თარიღი)

<u>დანართი D</u>

შეტყობინება გადახდის მოთხოვნის თაობაზე

იაპონური საგრანტო დახმარება ეკონოკიკური და სოციალური განვითრებისთვის
საქართველოს მთავრობისთვის

თარიღი

ვის: საქართველოს მთავრობას
ვისგან: კრაუნ ეიჯენტსისგან

თანდართული დეტალური ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ჩვენ გატყობინებთ, რომ კრაუნ ეიჯენტსმა გააგზავნა მოთხოვნა შპს. MUFG ბანკში, (თარიღი) რათა მოხდეს შემდეგი თანხის გადარიცხვა შესყიდვის ანგარიშზე.

თანხა: თანხა რიცხვებში
<u>(თანხა სიტყვებით)</u>

(სახელი და გვარი)
გრანტის მენეჯერი

თანდართული დოკუმენტები:
(1) დეტალური ხარჯთაღრიცხვა (ასლი)
(2) მოთხოვნა ჩარიცხვაზე (ასლი)

<u>დანართი E</u>

გადახდის მოთხოვნა (DR)

იაპონური საგრანტო დახმარება ეკონოკიკური და სოციალური განვითრებისთვის
საქართველოს მთავრობისთვის

ვის: შპს MUFG ბანკი
ტოკიო, იაპონია
ვისგან: კრაუნ ეიჯენტსი

გთხოვთ განახორციელოთ სახსრების გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშებს შორის, საქართველოს მთავრობისთვის საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, წინამდებარე მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება გადახდის საყოველთაო ნებართვას (BDA), რომელიც ხელმოწერილია საქართველოს მთავრობის მიერ (თარიღი).

დებეტირების ანგარიში: ანგარიში # 3015650თქვენს ბანკში.

კრედიტირების ანგარიში: შპს კრაუნ ეიჯენტსის ბანკის ანგარიში # 0476897 MUFG ბანკში - MUFG Bank, Ltd., Ichigaya Branch, Tokyo Japan (Procurement Account) -შესყიდვის ანგარიშზე.

რემიტანტის მისამართი: (თანხის მიმღები): ტოკიო, იაპონია

თანხა: <u>(თანხა რიცხვებში)</u>
როდესაც ანგარიში დაიხურება: დარჩენილი თანხა მასზე დარიცხულ პროცენტთან ერთად.

_____

(სახელი, გვარი)
(თანამდებობა)
დანართი:

გადარიცხვა / დანართი	პირველი მოთხოვნა	მეორე მოთხოვნის შემდეგ
გადახდის ყოვლისმომცველი ნებართვა	ორიგინალი	ასლი
ხელშეკრულება აგენტთან	ასლი	-
აგენტთან ხელშეკრულების დამტკიცება დონორის მხრიდან	ასლი	
დეტალური ხარჯთაღრიცხვა	ორიგინალი	ორიგინალი

დეტალური ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
იაპონური საგრანტო დახმარება ეკონოკიკური და სოციალური განვითრებისთვის
საქართველოს მთავრობისთვის

თარიღი:
საქართველოს მთავრობა

იაპონური საგრანტო დახმარება

საქონლის დასახელება* გამოყოფილი თანხა (იაპონურ იენებში)

სულ
*
საქონლის და/ან მომსახურების დასახელება და/ან აგენტის დაკონკრეტებული მომსახურება.

** ფაქტიური შესყიდვა არ აღემატება მიმღების ანგარიშზე დარჩენილი ბალანსის სრულ ოდენობას და დარიცხულ პროცენტს.

(სახელი, გვარი)

თანამდებობა:

<u>დანართი G</u>

ნებადართული შესყიდვის სერტიფიკატი (CEP)

თარიღი:

REF #

ვისაც ეს ეხება:

რაც ეხება პრო ფორმა ინვოისს (ჯამურ ანგარიშს), რაც თანდართულია ამ დოკუმენტზე, ჩვენ ვადასტურებთ, რომ შესყიდვა შეესაბამება XXXX-თ დათარიღებულ საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობის შორის 2020 წლის 22 ივლისს ხელმოწერილ EON-ის ყველა შესაბამის პირობებს და მთავრობებს შორის ხელმოწერილ 2020 წლის 22 ივლისით დათარიღებულ პროცედურული დეტალების ოქმს.

ქვემოთ მოცემულია შესყიდვასთან დაკავშირებული ძირითადი და მთავარი ფაქტები

1. შესყიდვის მეთოდი
   (ჩაწერეთ X შესაბამის ადგილას)

   a) _____: კონკურენტული ვაჭრობა

   b) _____: შეზღუდული ვაჭრობა

   c) _____: ღია ბაზარზე ვაჭრობა

   d) _____: პირდაპირი კონტრაქტი

2. საქონელი და/ან მომსახურება:

   a. საქონლის და/ან მომსახურების დასახელება

   b. წარმომავლობა:

3. საქონლის და/ან მომსახურების ღირებულება
   a. საქონელი და/ან მომსახურება:

   b. ფრახტი:

   c. საზღვაო დაზღვევა:

   d. აგენტის ჰონორარი

   e. სულ: (a+b+c+d):

4. მომწოდებელი

   დასახელება

   მისამართი:

წარმომავლობა:

(ქვეყანა, სადაც მომწოდებელი არის გაფორმებული და დარეგისტრირებული)

5. ტვირთის მიმღები:

დასახელება:

მისამართი:

ხელმოწერა

_____

შპს კრაუნ ეიჯენტსი იაპონია
სახელი, გვარი
თანამდებობა

ქრთამის და კორუფციის წინააღმდეგ

1.1 Crown Agents არ შესთავაზებს, არ გადაიხდის, არ უშუამდგომლებს, არ დართავს ნებას, არ დადებს საიდუმლო გარიგებას და არ შეეგუება ქრთამის გადახდას ან მიღებას (ე.წ. "გასამრჯელო ფორმალობის გაადვილებისათვის"), მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ნებისმიერი ადამიანისგან, მისი სახელით ან მისი სარგებლის მიღებისთვის რაიმე ფორმით. ქრთამის აღების ან კორუფციის წინადადებამაც კი შეიძლება სერიოზულად დააზიანოს Crown Agents ან მისი კლიენტებისა და ბიზნესპარტნიორების რეპუტაცია, გავლენა იქონიოს ბიზნესის კეთების უნარზე და დააზიანოს მისი თანამშრომლების რეპუტაცია. Crown Agents მოწოდებულია ინფორმაციის გაზიარებასა და კოლექტიური ქმედებების გაძლიერებაზე, მოსყიდვისა და კორუფციის აღმოფხვრაში.

1.2 წინამდებარე შეთანხმების თითოეული მხარე უნდა შეესატყვისებოდეს ანტი-მოსყიდვისა და ანტიკორუფციულ კანონებს, რეგულაციებსა და კოდექსებს, იმ ქვეყნებში, სადაც ისინი მოქმედებენ და სადაც ეს კანონები, რეგულაციები და კოდექსები ვრცელდება ამ ქვეყნებს გარეთ (მაგალითად, ბრიტანეთის ქრთამის აღების კანონი 2010 და აშშ-ს საზღვარგარეთ კორუფციული პრაქტიკის აქტი 1977), ყველა დანარჩენ ქვეყანაში, რომელთა მიმართ გამოიყენება ქრთამის აღებისა და კორუფციის შესახებ კანონები, დებულებები და კოდექსები.

1.3 თითოეული მხარე დაუყოვნებლივ შეატყობინებს მეორე მხარეს რომელიმე მხარის მიერ მიღებულ ნებისმიერი სახის არასასურველ ფინანსურ ან სხვა უპირატესობების თხოვნის ან მოთხოვნის შესახებ ინფორმაციას, წინამდებარე შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით, ან რაიმე სახის ეჭვებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება შესაბამის მხარეს ჰქონდეს ზემოთქმულთან დაკავშირებით.

1.4 თითოეული მხარე კონფიდენციალურად შეატყობინებს მეორე მხარეს, პრქტიკულად როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, ნებისმიერი შესაძლო კორუფციული ეჭვის შესახებ, რომელიც მას აქვს მეორე მხარის პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირების შესახებ.

1.5 ორივე მხარე აცნობიერებს მათ შესაბამის პასუხისმგებლობას, რომ თავიდან აიცილოს ქრთამი და კორუფცია და განახორციელოს თავისი საქმიანობა ეთიკურად და სრული პრინციპულობით და განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური კორპორატიული მმართველობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ანგარიშგების სისტემები, რათა თავიდან აიცილოს ქრთამი და კორუფცია ნებისმიერი ფორმით, ყველა შიდა და გარე მოქმედებაში.

1.6 არცერთი მხარე ნებით არ უნდა ჩაერთოს თავად რაიმე ბიზნესში, ან გამოიყენოს ამ შეთანხმებიდან გამომდინარე ინფორმაცია ნებისმიერი ფორმით, რომელიც ეწინააღმდეგება მეორე მხარის ინტერესებს.